პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი

ანგარიში
პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ

2015 წელი

www.personaldata.ge

სარჩევი

შესავალი 5

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები..... 9

პერსონალური მონაცემების გამჟღავნება 21

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა 31

ვიდეო-აუდიო მონიტორინგი 43

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება..... 53

პირდაპირი მარკეტინგი 59

მონაცემთა სხვა სახელმწიფოში და
საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა..... 65

სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა 68

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება
და საგანმანათლებლო საქმიანობა..... 73

საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობა 80

შესავალი

2015 წელი მნიშვნელოვანი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის დანერგვისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარების, აგრეთვე, სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადება-ჩაწერასა და კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის სისტემის ამოქმედებისა და მოქალაქეთა მომართვიანობის ზრდის კუთხით. ხაზგასასმელია ევროპის კავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2015 წელს ევროკომისიის ანგარიშში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით გატარებული რეფორმის დადებითი შეფასება, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მაჩვენებელიც. 2015 წელს პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი გახდა მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საერთაშორისო და ევროპული გაერთიანებების წევრი, წარმოდგენილი იყო ევროპის საბჭოს სპეციალურ კომიტეტსა და ბიუროში, სადაც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ევროპის საბჭოს კონვენციის განახლებასა და ევროპის კავშირის მონაცემთა დაცვის ერთიან რეგულაციაზე.

2015 წელს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმებების, ტრენინგებისა თუ გაწეული კონსულტაციების, საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად აღმოიფხვრა არაერთი დარღვევა, დაიხვეწა და კანონთან შესაბამისობაში მოვიდა მონაცემთა დამუშავების გარკვეული პროცესები, როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. მიღწეული შედეგების მიუხედავად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების დამკვიდრების, მონაცემთა უკანონო გამჟღავნებით გამოწვეული საფრთხეების შემცირების თვალსაზრისით არაერთი გამოწვევა რჩება. სწორედ ამიტომ, ანგარიში ასახავს პერსონალურ მონაცემთა მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევებზე რეაგირების შედეგებს, ძირითად ტენდენციებს, რეკომენდაციებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ იმ თემებს, რომლებიც გასულ წელს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის საგნად იქცა.

მონაცემები უნდა დამუშავდეს:

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და პრინციპები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, „...კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.“

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების ყველა ეტაპზე ერთდროულად უზრუნველყოფილი იქნას როგორც კანონით გათვალისწინებული პრინციპების დაცვა, ასევე შესაბამისი კანონიერი საფუძვლის არსებობა, ვინაიდან სწორედ ეს ერთობლიობა ქმნის მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უფლებასა და მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მთავარ გარანტიას.

2015 წლის განმავლობაში ინსპექტორის მიერ განხილული განცხადებებისა და ჩატარებული შემოწმებების შედეგად გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთ ძირითად პრობლემას კვლავ მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაუცველობა წარმოადგენს. ორგანიზაციებს (მონაცემთა დამმუშავებლებს) არ აქვთ განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების კონკრეტული და მკაფიო მიზანი, შესაბამისად, ინფორმაცია მუშავდება მიზნის არაადეკვატური და არაპროპორციული მოცულობით, ამასთან, უმეტეს შემთხვევაში კვლავ არ არის განსაზღვრული მონაცემთა შენახვის ვადები.

დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებზე ან მოძველებულ, გასაახლებელ ინფორმაციაზე ორგანიზაციების ხელმისაწვდომობა მოქალაქეებს გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის სხვადასხვა მომსახურების მიღებისა და საკუთარი უფლებების რეალიზების დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, წარსულში ნასამართლობის ფაქტის თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამჟღავნების გამო, რამდენიმე მოქალაქე გარკვეული დისკრიმინაციული მოპყრობის ობიექტადაც კი იქცა.

საჯარო სექტორში ხშირია შემთხვევები, როდესაც პერსონალური მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზები რამდენჯერმე, საჭიროების შეფასების გარეშე არის დუბლირებული. მაგალითად, რამდენიმე უწყებაში განსხვავებული მიზნების მისაღწევად დაცულია ერთი და იმავე შინაარსის მონაცემთა ელექტრონული ბაზა კოპირებული ასლების სახით, მაშინ, როდესაც შესაძლებელია მონაცემთა

ბაზა არსებობდეს მხოლოდ ერთ სივრცეში და საჭიროებისას, მასზე წვდომა სხვა უწყებებს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მიენიჭოთ. ეს ხელს შეუწყობს მონაცემთა პროპორციულ დამუშავებას, მათ განახლებას, დაცულობას და ამასთან, პროცესების ოპტიმიზაციის შედეგად ხარჯების შემცირებას.

საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მხრიდან 2015 წელსაც ჰქონდა ადგილი პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების კანონიერი საფუძვლის გარეშე დამუშავებას. ხშირად, მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების დროს, ორგანიზაციები ვერ ახდენენ შესაბამისი საფუძვლის იდენტიფიცირებას და ვერ წარადგენენ მონაცემთა ფლობისა თუ სხვაგვარი გამოყენების სათანადო სამართლებრივ არგუმენტაციას. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საჯარო უწყებებს შორის ზეპირი სახის შეთანხმებებსა თუ კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაფორმებულ მემორანდუმებზე დაყრდნობით პერსონალური მონაცემების, როგორც ერთჯერადი, ასევე მრავალჯერადი გაცემისა და მიღების ფაქტები, მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობით ამგვარი შემთხვევებისთვის განსაზღვრულია ნორმატიული აქტით რეგულირების აუცილებლობა. მოქმედი კანონმდებლობა საჯარო უწყებებს ანიჭებს უფლებამოსილებას შექმნან, მართონ და მუდმივ რეჟიმში განაახლონ მონაცემთა ბაზები და კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად სხვა საჯარო დაწესებულებებს მიანიჭონ წვდომა ინფორმაციაზე. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, რომლის ერთ-ერთ ძირითადი ფუნქცია არის მოსახლეობის ერთიანი რეესტრის წარმოება, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა. სხვადასხვა საჯარო უწყებებს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად ესაჭიროებათ მუდმივ რეჟიმში ამ მონაცემებზე წვდომა და ამ მიზნით, შესაბამის ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით, ხორციელდება ინფორმაციის ტექნიკური არხებით გამოთხოვა და მიღება. საკითხის ამგვარი რეგულირებით თავიდან არის აცილებული ბაზების დუბლირება, მოძველებული და არასწორი მონაცემების გამოყენება, მონაცემები მიზნობრივად მუშავდება და სხვა ორგანიზაციები იღებენ მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც ესაჭიროებათ დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო და კერძო ორგანიზაციების მხრიდან მონაცემთა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დამუშავებაზე, პრინციპების დარღვევაზე, საფუძვლის გარეშე გასაჯაროებასა და უკანონო წვდომაზე რეაგირების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს განცხადებით 41-მა მო-

ქალაქემ მომართა. განხილული განცხადებისა და ინსპექტირებების შედეგად, გამოვლინდა მონაცემთა საფუძვლის გარეშე დამუშავების და პრინციპების დარღვევის 18 შემთხვევა. გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად, ორგანიზაციების ნაწილს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დაეკისრათ სახდელი - ჯარიმა ან გაფრთხილება, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება არ მოხდა სამართალდარღვევის ჩადენიდან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მიუხედავად ამისა, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ორგანიზაციებს მიეცა შესასრულებლად სავალდებულო მითითებები.

წინამდებარე ანგარიშში მაგალითების სახით წარმოდგენილია 2015 წლის განმავლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობის შედეგად გამოვლენილი ის კანონდარღვევები, რომელთა განზოგადებაც ნათლად წარმოაჩენს კანონით გათვალისწინებული პრინციპებისა და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რეალურ მდგომარეობას და პრობლემებს.

საკრედიტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ წინასწარ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების მიხედვით, იმ პირების პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, ვისაც გააჩნიათ კომერციული ბანკების მიმართ ფინანსური სახის მიმდინარე, შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულებები, გადაეცემა კომერციული ბანკების მიერ დაფუძნებულ ორგანიზაცია - სს „კრედიტინფო საქართველოს“. აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკიდან მუდმივ რეჟიმში იღებს ინფორმაციას მსესხებლების შესახებ. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ორგანიზაციის სისტემაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვისაა (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ა.შ.) ტექნიკურად ხელმისაწვდომი ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის კონკრეტული ფინანსური ორგანიზაციის წინაშე არსებული ვალდებულებების შესახებ. კომერციული ბანკების მიერ ამგვარი ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება პირის თანხმობის საფუძველზე, თუმცა ინსპექტორის მიერ შესწავლილ რამდენიმე შემთხვევაში მსესხებლისგან მიღებული თანხმობა შეეხე-

ბოდა ინფორმაციის სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“ გადაცემას მხოლოდ კონკრეტული მიზნით და შესაბამისი კრედიტორის ინტერესებისთვის და არა განსხვავებული მიზნით ან სხვა ფინანსური ინტერესების მქონე პირებისთვის ინფორმაციის გამჟღავნებას.

2015 წელს ინსპექტორს რეაგირებისთვის მიმართა მოქალაქემ, რომელმაც მიუთითა, რომ ერთ-ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ მისი თანხმობის გარეშე გადაამოწმა მონაცემები სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზაში. საქმის შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მოქალაქის თანხმობა მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შესახებ სასესხო ურთიერთობის ფარგლებში ჰქონდა მოპოვებული. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, სასესხო ურთიერთობის დასრულების შემდგომ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ, ახალი საკრედიტო პროდუქტის შეთავაზების მიზნით, კვლავ გადაამოწმა პირის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში ისე, რომ მონაცემთა ამგვარ დამუშავებაზე მოქალაქის თანხმობა არ ჰქონდა. ინსპექტორის მიერ განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გასცდა მოქალაქის თანხმობით მინიჭებულ უფლებამოსილებას და პირის მონაცემების გადამოწმების დროს დაარღვია კანონის მოთხოვნები, რადგან მას არ ჰქონდა მონაცემთა დამუშავების შესაბამისი საფუძველი თანხმობის სახით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მონაცემთა სუბიექტის თანხმობას განმარტავს, როგორც შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ სუბიექტის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატულ ნებაყოფლობით თანხმობას, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება. იმისთვის, რომ მონაცემთა სუბიექტი სათანადოდ იყოს ინფორმირებული მონაცემთა დამუშავების შესახებ თანხმობის გაცემის მიზნისა და შედეგების თაობაზე, აუცილებელია მას ნების გამოვლენამდე მიეწოდოს ნათელი და მკაფიო ინფორმაცია, თუ რა მიზნით შეიძლება დამუშავდეს მისი მონაცემები. მხოლოდ ასეთი ინფორმაციის მიღების შემდგომ გამოვლენილი ნება შეიძლება იქნას მიჩნეული მონაცემთა დამუშავების საფუძვლად.

აღნიშნული საქმის განხილვისას გამოიკვეთა ასევე ის პრობლემაც, რომ სს „კრედიტინფო საქართველომ“ ხელმისაწვდომი გახადა მოქალაქის შესახებ ინფორმაცია სამართლებრივი საფუძვლის გადამოწმების წინასწარ შემუშავებული რაიმე მექანიზმის არსებობის გარეშე.

ამასთან, სს „კრედიტინფო საქართველოს“ საქმიანობასთან მიმართებაში მოქმედი კანონმდებლობა რაიმე სახის სპეციფიკურ რეგულაციებს არ განსაზღვრავს, განსხვავებით ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომელთა საქმიანობა, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჭრილში, საკმაოდ მკაფიოდ არის მოწესრიგებული სხვადასხვა ნორმატიული აქტით. სს „კრედიტინფო საქართველო“ ფლობს ქვეყანაში ერთ-ერთ უდიდეს მონაცემთა ბაზას, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით 2 206 180 პირის მონაცემებს შეიცავს, თუმცა, მიუხედავად ასეთი მასშტაბისა, ინფორმაციის დაცულობისა და ხელმისაწვდომობის (მათ შორის საფასურის სანაცვლოდ გაცემისთვის) ნორმატიულ დონეზე რეგულირება დღეს-დღეობით არ ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რეაგირება სს „კრედიტინფო საქართველოს“ მონაცემთა ბაზებზე კანონდარღვევით წვდომასთან დაკავშირებით იყო ქმედითი და მყისიერი, ინსპექტორის მიერ გატარებული ღონისძიებები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს იმ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც სათანადო რეგულაციის არქონის პირობებში შეიძლება არსებობდეს. მიზანშეწონილია, ფინანსური მონაცემების არამიზნობრივი დამუშავების რისკების აღმოსაფხვრელად და მოქალაქეთა უფლებების ეფექტური დაცვის მიზნით ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე შეიქმნას დამატებითი მექანიზმები.

მოქალაქეთა განცხადებები

განცხადებების თემები



120

განცხადება

- პირდაპირი მარკეტინგი
- მოქალაქისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა
- მონაცემთა გასაჯაროება კანონიერი საფუძვლის გარეშე
- კანონიერი საფუძვლის გარეშე და პრინციპების დარღვევით მონაცემთა დამუშავება
- მონაცემებზე წვდომის კანონიერება
- ვიდეო-აუდიო ჩაწერის კანონიერება
- სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერება

2015 წელს ჩატარდა

54

ინსპექტირება

მონაცემთა ბაზებში დაცულ ინფორმაციაზე თანამშრომელთა მხრიდან არამიზნობრივი წვდომა

კანონიერების პრინციპის დაცვის და საზოგადოების ნდობის მოპოვების მიზნით მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს ჰქონდეთ განცდა, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციაში მათ შესახებ შეგროვებულ ინფორმაციაზე წვდომა მოხდება მხოლოდ კანონიერი მიზნით, თანაც აუცილებლობის შემთხვევებში და წინასწარ განსაზღვრული საჭიროებებისას. აღნიშნული საკითხი უფრო მეტ აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციას წარმოადგენს სამართალდამცავი სტრუქტურა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი საჯარო უწყებაა, რომელიც კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად პირთა შესახებ დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზებში თავს იყრის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია: სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საკუთრებასა და მართვის უფლებებთან, ფიზიკური პირების საზღვრის კვეთასთან, ნარკოლოგიურ შემოწმებასთან, უგზოუკვლოდ დაკარგულად და ძებნილად გამოცხადებასთან და სხვა.

სამინისტროს მიერ დამუშავებული ინფორმაციის მოცულობისა და ორგანიზაციაში დასაქმებული პირების რაოდენობიდან გამომდინარე გასათვალისწინებელია პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე არამართლზომიერი წვდომის საფრთხე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მონაცემთა დამმუშავებელმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, განსაკუთრებით მსხვილმა მონაცემთა დამმუშავებლებმა, მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრონ მონაცემებზე წვდომის შემთხვევები და უზრუნველყონ დასაქმებული პირების მიერ ასეთი ინფორმაციის გამოყენების მართლზომიერების მკაცრი კონტროლი და არამიზნობრივი წვდომის შემთხვევების დროული გამოვლენა.

2015 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოაწესრიგა სამინისტროს ინფორმაციულ რესურსებთან თანამშრომელთა დაშვების საკითხები, განისაზღვრა სამინისტროს ფაილურ სისტემებში არსებული პერსონალური მონაცემების შენახვის, წაშლისა და დაარქივების ვადები, გამკაცრდა თანამშრომელთა მიერ მონაცემთა ბაზებზე წვდომის კანონიერების კონტროლი. დაარქივებულ ინფორმაციულ რესურსებთან წვდომა დაიშვება მხოლოდ დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კონკრეტულ პირთა მონაცემთა დამუშავების რამდენიმე შემთხვევა შეისწავლა, ნაწილ მათგანში სამინისტროს მხრიდან პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დარღვევა არ გამოვლინდა, ან პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ხოლო 2 შემთხვევაში სამინისტროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ერთ-ერთი სამართალდარღვევა გამოვლინდა მოქალაქის განცხადების განხილვის ფარგლებში, კერძოდ, მოქალაქე უთითებდა, რომ მისი კუთვნილი ავტომობილით მოძრაობისას ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლი შესამჩნევად მანევრირებდა მის სიახლოვეს. რამდენიმე წუთში განმცხადებელმა სატელეფონო ნომერზე მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება მისთვის უცნობი ნომრიდან. როგორც შეტყობინებიდან ირკვეოდა, გამომგზავნი იყო აღნიშნული ავტომობილის მძღოლი, რომელიც მისივე თქმით მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და განმცხადებლის სატელეფონო ნომერი და სხვა პერსონალური მონაცემები მოიძია სამინისტროში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შეისწავლა მოქალაქის მონაცემებთან უკანონოდ წვდომის საკითხი. დადგინდა, რომ ავტომობილის მძღოლი არ იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, თუმცა მან პირადი მიზნებისთვის განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია მოიპოვა სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლისგან. აღნიშნულ ფაქტს რეაგირება მოჰყვა ასევე სამინისტროს მხრიდანაც და ინფორმაციის კანონიერი საფუძვლის გარეშე მომპოვებელ და მესამე პირისთვის გამმჟღავნებელ თანამშრომელს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მონაცემების საფუძვლის გარეშე დამუშავებისთვის სამინისტრო დაჯარიმდა 2000 ლარით.

ინსპექტორის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ მოქალაქის მონაცემებზე არასამსახურებრივი მიზნით წვდომის გამო, სამინისტროს თანამშრომელს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, რის გამოც, ინსპექტორს სამინისტროსათვის დამატებით აღარ უნდა დაეკისრებინა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. სასამართლომ (საქმე N4/5635-15) სამინისტროს პოზიცია არ გაიზიარა და ინსპექტორის გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

სულ 2015 წლის განმავლობაში გამოვლინდა 64 სამართალდარღვევის ფაქტი, მათგან 23 შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება ხანდაზმულობის 2 თვიანი ვადის გამო ვერ მოხდა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის ან გაფრთხილების სახით დაეკისრა 41 ორგანიზაციას.

გამოვლენილი დარღვევები



ნარკოლოგიური აღრიცხვის კანონიერება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი საჯარო სექტორის მიმართ 2012 წლიდან ამოქმედდა. მას შემდგომ მონაცემთა დამუშავების არაერთი პროცესი დარეგულირდა და სამართლებრივ ჩარჩოში მოექცა, თუმცა 2015 წელს ინსპექტორის მიერ მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა თუ შემოწმებების შედეგად კვლავ გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც საჯარო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავება, მათ შორის, გამჟღავნება ხდებოდა მხოლოდ უწყებების ხელმძღვანელებს შორის ზეპირი შეთანხმებით, ყოველგარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე.

პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით, მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ მათ ბაზებში დაცული პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის მოპოვება, გადაცემა და ხელმისაწვდომობა მოახდინონ კანონმდებლობით, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. მხოლოდ მხარეთა შორის ზეპირსიტყვიერი შეთანხმება ან წერილობითი მემორანდუმი არ წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების სათანადო წინაპირობას. მკაფიო სამართლებრივი რეგულირების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მონაცემების დამუშავების შედეგად, მოქალაქეებს ეზღუდებათ გარკვეული უფლებები, მაგალითად, დასაქმების უფლება.

2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტუქტურულ ერთეულში ნარკოტესტზე ნებაყოფილობითი შემოწმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც გადაიგზავნა სასამართლოში. საქმის განხილვისას მოქალაქემ წარადგინა მტკიცებულებები, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი მიღებული ჰქონდა კანონიერად - ექიმის დანიშნულებით. სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დადგენილების თანახმად არ დადას-

ტურდა მოქალაქის მიერ ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტი, განმცხადებელი კვლავ იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამის ნარკოლოგიურ მონაცემთა ბაზებში ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ ამგვარ აღრიცხვაზე ყოფნით საფრთხე შეექმნა მისი დასაქმების საკითხს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვდა მის შესახებ არსებული არასწორი ინფორმაციის წაშლას.

განცხადების განხილვისას დადგინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ იმ პირთა აღრიცხვის ვალდებულებას, რომლებიც არიან ნარკომანიით დაავადებულნი ან ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებლები. განმცხადებელი კი, არ მიეკუთვნებოდა არცერთ ზემოაღნიშნულ კატეგორიას.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულების მიერ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზისთვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა ან ვალდებულება დადგენილი არ არის. ასეთი ინფორმაციის აღრიცხვის ვალდებულება აქვს მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ დაწესებულებას, რომელსაც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს შექმნას ნარკომანიით დაავადებული პირებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებათა მომხმარებლების ერთიანი საინფორმაციო ბანკი, თუმცა, დღეის მდგომარეობით, ამგვარი უფლებამოსილების მქონე პირი განსაზღვრული არ არის. შემოწმების ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ 2010 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოლოგიური მონაცემთა ბაზა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა ამავე უწყებების ხელმძღვანელების ზეპირი შეთანხმების საფუძველზე განთავსდა ერთიან სერვერზე და ბაზებში არსებული მონაცემები პირდაპირ რეჟიმში ხელმისაწვდომი იყო ორივე მხარისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით საკითხის დარეგულირების გარეშე.

ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განმცხადებლის შესახებ მონაცემების სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის გამჟღავნება და ბიუროს მიერ განმცხადებლის აღრიცხვა ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზაში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, მონაცემთა დამუშავების საფუძვლის გარეშე მოხდა, რის გამოც, უწყებებს დაეკისრათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით. ასევე, სამინისტროს დაევალა განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის მიწოდების შეწყვეტა, ხოლო სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დაევალა განმცხადებლის შესახებ არასწორი მონაცემების საინფორმაციო ბაზიდან წაშლა. აღსანიშნავია, რომ უწყებები არ დაეთანხმნენ ინსპექტორის გადაწყვეტილებას და სასამართლოში გაასაჩივრეს. თუმცა, სასამართლომ (საქმე N4/5047-15) სრულად გაიზიარა ინსპექტორის პოზიცია და მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

პერსონალური მონაცემების გამჟღავნება

პერსონალური მონაცემების გამჟღავნება

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.“

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი

გასულ წელს საკმაოდ აქტუალური იყო პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ურთიერთმიმართების საკითხი. კონსულტაციისთვის საჯარო უწყებების თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მომართვიანობიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე იკვეთება, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას დაინტერესება უმეტესწილად შეეხება პირ(ებ)ის კვალიფიკაციასთან, ანაზღაურებასთან და ნასამართლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გასათვალისწინებელია, რომ პირის შემოსავლისა თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაც პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება, თუმცა თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაცია მათი საქმიანობის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესისა და ზოგადად, გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე, არის უფრო ღია და ხელმისაწვდომი, ვიდრე სხვა პირების შემთხვევაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები (თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შესაძლებელს ხდის თანამდებობის პირთა შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ხელფასისა თუ პრემიის ოდენობის გასაჯაროებას და დაინტერესებულ პირთათვის გამჟღავნებას.

მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ პირის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროებას, რომლებიც ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემებისაგან განსხვავებული სამართლებრივი რეგულირების ქვეშ ექცევიან. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება საჭიროებს პირის წერილობით თანხმობას და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას ეს ინფორმაცია გამხელისაგან, სანამ თავად ეს პირი არ გამოავლენს ინფორმაციის გაცემის ნებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თანამდებობის პირთა შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის, მათი თანხმობის გარეშე გასაჯაროების შესაძლებლობას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში, დაუშვებელია სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის მათი გამჟღავნება. თუმცა, კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დეპერსონალიზებული ფორმით გამჟღავნების შესაძლებლობას იძლევა. აუცილებელია, მონაცემთა დეპერსონალიზაცია მოხდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა და ინსპექტორის აპარატმა დაიწყეს მუშაობა ერთობლივ რეკომენდაციებზე. ინსპექტორის ინიციატივით 2015 წლის დეკემბერში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სასამართლო სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს უზენაესი, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები, სასამართლოს თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. შეხვედრა ძირითადად შეეხებოდა ბალანსის დაცვას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პერსონალური მონაცემების დაცვას შორის, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებისა და გასაჯაროების საკითხებს, სადაც კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჯაროებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების საჭიროება. 2016 წლის იანვრიდან კი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, საერთო სასამართლოებში

გადაწყვეტილებების გაცემის წესის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, სადაც მონაწილეობას იღებენ ინსპექტორის აპარატის თანამშრომლებიც.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროებასთან დაკავშირებით სხვა სახის სტანდარტის დამკვიდრების შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროება. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების გასაჯაროების საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია ბალანსის დაცვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესებს შორის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.“

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქმის განხილვის წესი ამომწურავად არის რეგულირებული მოქმედი კანონმდებლობით. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ. ამასთან, სასამართლო პროცესზე კანონით გათვალისწინებული წესით დაშვებულია აუდიო და ვიდეო ჩაწერა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად - სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე კანონის მოქმედება არ ვრცელდება სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება. გამომდინარე აღნიშნულიდან, ნათელია, რომ სასამართლოს პროცესის მსვლელობისას მონაცემთა დამუშავებაზე არ ვრცელდება პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი ნორმები, თუმცა, მას შემდეგ, რაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება გამოცხადებული, სამართალწარმოების მიზანი უკვე მიღწეულია და მონაცემთა დამმუშავებლებს, მათ შორის სასამართლოს, ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან მონაცემთა დამუშავების შესაბამისი სტანდარტები.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავს ფიზიკური პირის შესახებ მონაცემებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2

მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტს, ხოლო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ფიზიკური პირის რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულების, რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის, პროფესიულ კავშირის წევრობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სქესობრივი ცხოვრების, ნასამართლობის, ადმინისტრაციული პატიმრობის, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, პირთან საპროცესო შეთანხმების დადების, განრიდების, დანაშაულის მსხვერპლად აღიარების ან დაზარალებულად ცნობის შესახებ, ასევე შეიცავენ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის, ასევე მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად (ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით დადგენილ სხვა შემთხვევებში) სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროება დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ შეიცავს პირის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროება კი დასაშვებია მხოლოდ დეპერსონალიზებული ფორმით ან პირის თანხმობით.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე პერსონალური მონაცემების დეპერსონალიზაციის ფორმაზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა დეპერსონალიზაცია განმარტებულია როგორც მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. იგივე მიდგომას ადგენს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო საქმეში *Nikoaou v. Commission, 12.09.2007.* სასამართლო განმარტავს, რომ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელშიც არ არის მითითებული პიროვნება, თუმცა მარტივად იძლევა მისი იდენტიფიცირების საშუალებას, უნდა ჩაითვალოს პერსონალური მონაცემების დამუშავებად.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ სასამართლო დავის ფარგლებში მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე ფლობდა მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას. მოქალაქე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ითხოვდა მისი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების კანონიერების შესწავლას. მსგავსი მოთხოვნით ინსპექტორის აპარატს მომართა კიდევ

ერთმა მოქალაქემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს იგი ნასამართლევი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნული ინფორმაციის დასტურად კი მითითებული იყო სასამართლოს განაჩენის ასლი. მიუხედავად იმისა, რომ განაჩენში პერსონალური მონაცემები დაშტრიხული სახით იყო მოცემული, არასამთავრობო ორგანიზაციის მტკიცებით, განაჩენი სწორედ განმცხადებლის მიერ დანაშაულის ჩადენას უკავშირდებოდა. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ის არ ყოფილა ნასამართლევი და თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჯაროებული განაჩენი ეხებოდა სხვა ადამიანს, ორგანიზაციის მიერ მითითებული ფაქტები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და ემსახურებოდა მისი სახელის დისკრედიტაციას.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან განაჩენის ასლი გაიცა საჯარო ინფორმაციის სახით, პერსონალური მონაცემების გარეშე - დაშტრიხული სახით, მხოლოდ ინიციალების მითითებით. მიუხედავად დაშტრიხული ფორმით ინფორმაციის გაცემისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ განსახილველ შემთხვევებში, სასამართლოსგან მოითხოვეს კონკრეტული ფიზიკური პირების (სახელისა და გვარის მითითებით) შესახებ განაჩენების ასლები და სასამართლომ გასცა ინფორმაცია განცხადებაში მითითებული პირების შესახებ. ამდენად, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასამართლოს განაჩენის ასლში დაშტრიხული იყო მონაცემთა სუბიექტის ვინაობა, არ იქნა მიჩნეული დეპერსონალიზებული ფორმით ინფორმაციის გაცემის შემთხვევად. აღწერილ შემთხვევებში ინფორმაციის მიმღებს შეეძლო მარტივად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, განაჩენში მითითებული ინიციალის ფიზიკურ პირთან დაკავშირება და ამგვარად - მისი იდენტიფიცირება. სასამართლოს არ შეუფასებია ის გარემოება, თუ რამდენად იძლეოდა მის მიერ შერჩეული ფორმით ინფორმაციის გაცემა პირის იდენტიფიცირების საშუალებას. ამდენად, ინსპექტორის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას კანონის დარღვევით.

სკოლის მიერ მოსწავლეთა შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მომართა ერთ-ერთმა არასამეწარმეო არაკომერციულმა იურიდიულმა პირმა და მიუთითა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის, მათი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის უზრუნველყოფისა და აღნიშნულ ღონისძიებებში შშმ პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ღონისძიებების ინდიკატორული განსაზღვრების მიზნით მიმართა ერთ-ერთ საჯარო სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი არ ყოფილა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიწოდება, სკოლისგან მიღებული ინფორმაცია შეიცავდა მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებს, კერძოდ შშმ მოსწავლეების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, სადაც სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ერთად ფიქსირდებოდა ინფორმაცია მოსწავლეების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ, ასევე მათი სახელი, გვარი, კლასი, მშობლებისა და პედაგოგების სახელი და გვარი.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა საჯარო სკოლის შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გაცემამდე მოახდინა მშობელთა ინფორმირება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოთხოვის შესახებ და დასმულ იქნა შეკითხვა, თანახმა იყვნენ თუ არა ისინი მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე, რაზეც მშობლებმა განაცხადეს წერილობითი თანხმობა.

მიუხედავად მონაცემთა დამუშავების საფუძვლის არსებობისა, შემოწმების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლამ საკმარისად არ გამოიკვლია ის კანონიერი მიზანი, რომლის მისაღწევადაც ინფორმაციის მიმღებს ესაჭიროებოდა მოსწავლეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შემცველი ინფორმაციის მიღება. სკოლისაგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის უზრუნველყოფისა და შშმ პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ღონისძიებების განსაზღვრას, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა შშმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით ინფორმაციის წარდგენა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შემცველი ინფორმაციის, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის მიმართ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს დაცვის მაღალ სტანდარტს და უთითებს, რომ ამგვარი მონაცემების დამუშავება აკრძალულია, გარდა ამავე კანონით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. რადგანაც მაღალია პირისათვის მორალური ზიანის მიყენების რისკი, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, განსაკუთრებით კი მისი გაცემისა თუ სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, საჭიროებს როგორც კანონიერი საფუძვლის, ასევე კანონიერი მიზნის არსებობას. იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გაცემას ეხება საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის შემდგომი გამოყენების რისკების შეფასებას.

ამგვარი ინფორმაციის გაცემის თითოეული შემთხვევისათვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა შეფასდეს იმ კანონიერი მიზნის არსებობა, რომლის მისაღწევადაც გაიცემა მონაცემი. ასევე, მონაცემები შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად. ამდენად, სკოლას უნდა მოეხდინა მონაცემთა დეპერსონალიზაცია და მისი გაცემა მოსწავლეთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით. ვინაიდან, მოსწავლეთა შესახებ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემით დაირღვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, საჯარო სკოლას დაეკისრა პასუხისმგებლობა გაფრთხილების სახით.

მონაცემები უნდა დამუშავდეს:

1. სამართლიანად და კანონიერად, მოქალაქის ღირსების შეულახავად;
2. კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული მიზნით;
3. მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით;
4. მონაცემები უნდა ინახებოდეს განსაზღვრული ვადით;
5. უკანონოდ შეგროვებული მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა

„ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატარის ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი

საგამოძიებო და ოპერატიული ორგანოების უფლებამოსილება, განახორციელონ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების, დანაშაულის პრევენციისა თუ სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, თუმცა ეს უფლებამოსილება უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებული, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა უნდა იყო კანონიერი მიზნის პროპორციული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეული უნდა იყოს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერის და პროპორციულ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, ამასთან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე, 137-ე, 138-ე და 143[1] მუხლებით დადგენილია, რომ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებებში დაცული მონაცემების, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა და შინაარსობრივი მონაცემების სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიზნებისთვის მოსაპოვებლად სავალდებულოა არსებობდეს სასამართლოს მიერ გაცემული განჩინება ან გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის მოტივირებული დადგენილება. კოდექსის 143[2] მუხლით დადგენილი პრინციპები კი მიზნად ისახავს სამართლიანი ბალანსის დაცვას დანაშაულზე რეაგირებისას სახელმწიფო ინტერესსა და პიროვნების პირადი სივრცის ხელშეუხებლობას შორის.

2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი გავრცელდა დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიენიჭა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კონტროლის უფლებამოსილება. 2015 წლის 31 მარტიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განესაზღვრა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-138-ე მუხლებითა და 143[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება. გამომდინარე აღნიშნულიდან, ანგარიშში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით მოცემულია 9 თვის განმავლობაში ინპექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობა.

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ეფექტურად განსახორციელებლად, ინსპექტორის აპარატში ცალკე სტრუქტურულ ქვეერთეულად ჩამოყალიბდა სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის სამმართველო, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფარულ საგამოძიებო მოქმედებებსა და უფლებამოსილი ორგანოს მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სასამართლოს, პროკურატურის და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი; სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება და სხვა.

2015 წლის 31 მარტიდან ასევე ამოქმედდა ინსპექტორის აპარატის მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების - სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების და ჩაწერის - კონტროლის ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, განისაზღვრა შესაძლო ინციდენტების ჩამონათვალი, მათი ესკალაციის მატრიცა და ინციდენტებზე რეაგირების მექანიზმები. ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით ზედამხედველობის განხორცილების მიზნით 24 საათიან რეჟიმში დაიწყო ფუნქციონირება ინსპექტორის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, რომელიც უზრუნველყოფს ორეტაპიანი ელექტრნული სისტემისა და ლოკალური ინფორმაციული სისტემების ტექნიკურ მონიტორინგსა და მართვას. სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებამდე, მოწმდება მოსამართლის განჩინების/პროკურორის დადგენილების არ სებობა და მასში მითითებული მონაცემების შესაბამისობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ ელექტრონულად ინიცირებულ მოთხოვნასთან. მართლზომი-

ერი გადაჭერის სისტემას მხოლოდ მონაცემების სრულად დამთხვევისას ეძლევა მოთხოვნილი არხის გახსნის და მოსმენის განხორციელებაზე თანხმობა. ამასთან, კონკრეტულ სატელეფონო ნომრის მიმართ განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადა მკაცრად კონტროლდება. სასამართლო განჩინებით ან პროკურორის დადგენილებით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე, თუ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი ვერ უზრუნველყოფს მოსმენის შეწყვეტას, ინსპექტორი ელექტრონული სისტემით ახდენს არხის დახურვას და სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება-ჩაწერის შეწყვეტას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ზედამხედველობას ახორციელებს მონაცემთა ბანკების კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობითა და მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით). თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემთა ბანკების კონტროლის ელექტრონული სისტემის ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობაზე მუშაობა დასრულებული არ არის და 2015 წელს ვერ ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის მიერ კოპირებულ მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების ლოგირების მონაცემების ავტომატური მიწოდება ინსპექტორისათვის, კანონმდებლობით დაკისრებული საზედამხედველო ფუნქციის შესასრულებლად მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობების კანონიერების შესწავლის მიზნით, 2015 ნოემბერში დაიწყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური ნაწილის შემოწმება.

ინსპექტორის აპარატში რეგულარულად ხორციელდება მიღებული სასამართლო განჩინებებისა და პროკურორის დადგენილებების როგორც სტატისტიკური, ასევე შინაარსობრივი ანალიზი.

საანგარიშო პერიოდში ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სტატისტიკური თვალსაზრისით ყველაზე მეტად ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილება, ყველაზე ნაკლები რაოდენობით დაფიქსირდა განჩინებები/დადგენილებები საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლსა და ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებასთან დაკავშირებით.


სასამართლო განჩინებები
1
173
216
222
223
237
247
223
186
255
237
210
264
0
50
100
150
200
250
300
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი


პროკურორის დადგენილებები
20
9
17
19
10
16
18
8
7
11
9
17
0
5
10
15
20
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი

ინსპექტორის აპარატში 2014-2015 წლებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე შემოსული მოსამართლეთა განჩინებების მცირე ნაწილში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ, რამდენიმე შემთხვევაში მოსამართლის განჩინებებში ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ვადა მითითებული არ იყო ან იყო ცდომილება ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ან განმახორციელებელი ორგანოს მონაცემებში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ვადის გაგრძელების შემთხვევაში არ იყო მითითებული კონკრეტული ვადა. 2015 წლის 9 თვის მონაცემებით, აღნიშნული მიზეზების გამო, თვეში საშუალოდ 4 შემთხვევაში არ მოხდა მოთხოვნილი არხის გახსნის და მოსმენის განხორციელებაზე ინსპექტორის მიერ თანხმობის გაცემა.

ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მოპოვებული მასალის განადგურების ოქმების აღრიცხვის მიზნით, ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშავდა ტექნიკური არქიტექტურა და დაინერგა ელექტრონული ბაზა, რომელშიც ხდება ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის თაობაზე სასამართლო განჩინებებისა და უკანონოდ ცნობილი მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ პროკურატურის ოქმების ასახვა, შედარება და ანალიზი.



2015 წელს გამოვლინდა 26 შემთხვევა, როდესაც დროულად არ იქნა წარმოდგენილი საგამოძიებო მოქმედების საფუძველზე მოპოვებული და უკანონოდ ცნობილი მასალის განადგურების ოქმები. ინსპექტორის მიმართვის შედეგად საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უზრუნველყო შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. გაიმართა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა და საქართველოს მთავარ პროკურატურას მიეცა რეკომენდაციები ინსპექტორისათვის ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ ოქმების მოწოდების შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში ცალკე წარმოებს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ სამართალდამცავი ორგანოსათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გადაცემის (როდესაც გადაცემა არ ხორციელდება ინფორმაციის რეალურ დროში მიწოდების ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით) შესახებ ინფორმაციის დამუშავება. კანონის თანახმად, ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს უნდა აცნობონ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის გადაცემიდან 24 საათში. 2015 წლის დასაწყისში ჩატარდა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა ელექტრონული კომუნიკაციების განმახორციელებელ კომპანიებთან და განისაზღვრა ინსპექტორის აპარატში წარმოსადგენი ინფორმაციის ერთიანი სტანდარტული ფორმა და პროცედურა.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო მიზნებისათვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავება

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის გარდა, ინსპექტორი ახორციელებს სამართლდამცავი ორგანოების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე კონტროლს. 2015 წელს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ დანაშაულის გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების დროს ელექტრონული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დამუშავების პრინციპების დაცვა, საფუძვლების იდენტიფიცირება და სათანადო პროცედურების ჩამოყალიბება.

2015 წელს სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის სამმართველომ განახორციელა 20 ინსპექტირება, რომელთაგან 6 შეეხებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვისა და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილ შესაძლო დარღვევის ფაქტებს, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებისა და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კანონით დადგენილი წესის დარღვევით დამუშავებას.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების მხრიდან ისეთი ელექტრონული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოთხოვას, როგორიცაა - ტელეფონის ნომერი, იმეი კოდი, კომპანიის ქსელში ჩართული კონკრეტული სიმ ბარათის მფლობელის დემოგრაფიული მონაცემები, იმ ტელეფონის იმეი კოდის მონაცემები, რომელშიც ტელეფონის ნომერი იყო გააქტიურებული და ასევე, კონკრეტული სიმ ბარათის გარდა, იმ სიმ ბარათის მონაცემები, რომელიც გააქტიურდა დანაშაულებრივი გზით მითვისებულ მობილურ ტელეფონში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციის გამოთხოვის სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგად ნორმებთან ერთად მიუთითებდა: „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის ამოცანაა დანაშაულის ან სხვა მარ-

თლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, აღკვეთა და თავიდან აცილება და ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს „ცნობების შეგროვება - ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის მიერ კრიმინალისტური, ოპერატიულ-სამძებრო ან ინფორმაციის შენახვის სხვა წყაროდან იმ ფაქტობრივი მონაცემების ოფიციალურად მოპოვება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ამოცანათა შესასრულებლად“. ამასთან სამინისტრო განმარტავდა, რომ იმეი კოდი და ინფორმაცია იმის შესახებ, გააქტიურდა თუ არა სხვა სიმ ბარათი მობილურ ტელეფონში, არის არა პიროვნების, არამედ დაკარგული ნივთის, კერძოდ, ელექტროტექნიკური საგნის - მობილური ტელეფონის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი და შესაბამისად, აღნიშნული მონაცემით შეუძლებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ პირთა წრის უფლებების შეზღუდვა. სამინისტროს აზრით ამ შემთხვევებში ინფორმაცია უკავშირდებოდა ობიექტს და არა კონკრეტულ პირს, გამოთხოვილი ინფორმაცია არ შეიცავდა რაიმე დამატებით ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა პირის შემდგომი იდენტიფიცირება და შესაბამისად, ეს ვერ იქნებოდა პერსონალური მონაცემი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა საკითხის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემის გამოთხოვა უნდა განხორციელებულიყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ ოპერატიულ--სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოს შეუძლია ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI[1] თავით დადგენილი წესით, მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილებით, მოიპოვოს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები შემდეგ შემთხვევებში: უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ძებნისას; ბრალდებულის ან მსჯავრდებულის შესაბამის ორგანოში წარსადგენად ძებნისას, თუ ის თავს არიდებს მისთვის შეფარდებული იძულებითი ღონისძიების გამოყენებას ან დანიშნული სასჯელის მოხდას; დანაშაულის შედეგად დაკარგული ქონების ძებნისას.

ასევე, შეფასდა იმეი კოდის პერსონალურ მონაცემად მიჩნევის საკითხი და აღინიშნა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი (შემდგომ - მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ

ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, საიდენტიფიკაციო ნომერი არის პირადი ან კანონით განსაზღვრული, ფიზიკურ პირთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლითაც შესაძლებელია ფაილური სისტემიდან (სადაც საიდენტიფიკაციო ნომერი ასევე დამუშავებულია) მონაცემთა მოძიება ან გამჟღავნება. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, იმეი კოდი არის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემი, კერძოდ, მომხმარებლის (მათ შორის ფიზიკური პირის) კომუნიკაციის აღჭურვილობის ან შესაძლო აღჭურვილობის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემი. შესაბამისად, იმეი კოდი არის კანონით გათვალისწინებული საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამასთან, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს როგორც ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის წარმმართველი ორგანოს, ასევე, სისხლის სამართლის მწარმოებელი ორგანოს მიერ იმეი კოდის მეშვეობით ფიზიკური პირის შემდგომი იდენტიფიცირების სამართლებრივ შესაძლებლობებსა და მექანიზმებს, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ აღნიშნულ ორგანოებს იმეი კოდის მეშვეობით შეუძლიათ არაპირდაპირი გზით განახორციელონ ფიზიკური პირის შემდგომი იდენტიფიცირება.

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს გამოვლინილი 6 სამართალდარღვევის ფაქტზე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გამო ადმინისტრაციული სახდელის დადება ვერ მოხდა, ინსპექტორის გადაწყვეტილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას დაევალათ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მხოლოდ კანონით განსაზღრული წესით დამუშავება და აღმოიფხვრა ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მხოლოდ წერილის საფუძველზე გამოთხოვის კანონშეუსაბამო პრაქტიკა.

თქვენ გაქვთ უფლება

იცოდეთ

- თქვენ შესახებ რა სახის მონაცემები მუშავდება,რა მიზნით და საფუძვლით;
- ვინ ამუშავებს და ვისზე გაიცა თქვენი მონაცემები;

დაინტერესდეთ

- რა გზით შეგროვდა მონაცემები;
- სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი ინფორმაციის მიწოდება;

მოითხოვოთ

- არასწორი, არაზუსტი, მოძველებული მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ნებისმიერ დროს უარი თქვათ თქვენსავე გაცემულ თანხმობაზე;

გაასაჩივროთ

- მონაცემთა არაკანონიერი დამუშავება და მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს.

ვიდეო-აუდიო მონიტორინგი

ვიდეო-აუდიო მონიტორინგი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპები და დებულებები განსაზღვრავს მკაცრ მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცულობის მაღალ სტანდარტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მონაცემთა სუბიექტს (მოქალაქეს) მიანიჭა უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვის, რა მიზნით და რა მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება მისცეს. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაშინ, როდესაც საჯარო და კერძო ინტერესები შესაძლოა აღემატებოდეს მოქალაქის ინტერესებს. სწორედ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს ვიდეოთვალთვალის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ ადგილებში ვიდეოთვალთვალი განსხვავდება სხვა ხერხით მონაცემების დამუშავებისაგან იმით, რომ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით მონაცემთა დამუშავება არ არის დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტის ნებაზე. სწორედ ამიტომ, კანონი მკაცრად განსაზღვრავს ვიდეოთვალთვალის გზით მონაცემთა დამუშავების მიზნებს, როგორიცაა, დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის დაცვა.

ვიდეოთვალთვალი უნდა გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებლობა და არა მოქალაქეთა ქცევის კონტროლის დამატებითი მექანიზმი. ამასთან, კანონის თანახმად, ვიდეოთვალთვალის სისტემის განთავსებისას მონაცემთა ყველა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, რათა ინფორმირების გზით უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების პატივისცემა და დაცვა.

2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა არაერთ კერძო თუ საჯარო ორგანიზაციაში შეისწავლა ვიდეოთვალთვალის სისტემების მეშვეობით მონაცემების დამუშავების კანონიერება. შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როცა ვიდეოთვალთვალის სისტემებს აუდიოჩაწერის ფუნქციაც ჰქონდათ და, შესაბამისად, ორგანიზაციები სხვადასხვა მიზნის მისაღწევად ვიდეომონიტორინგთან ერთად აუდიომონიტორინგსაც მიმართავდნენ.

2015 წელს მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და შემოწმებების შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა სისტემის მეშვეობით ვიდეო-აუდიო მონიტორინგი განსაკუთრებით ხშირი იყო მომსახურების გაწევის ადგილებში (სავაჭრო ობიექტებში, აფთიაქებში, საფინანსო ორგანიზაციებში). ვიდეო-აუდიო მონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემები კი, ძირითადად, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დასაქმებულთა კონტროლის მიზნით გამოიყენებოდა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. ამავე კანონით ცალსახად არის განსაზღვრული სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნები - სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პირის უსაფრთხოების, საკუთრების და, ასევე, საიდუმლო ინფორმაციის დაცვა და აღნიშნული მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა უნდა იყოს შეუძლებელი. დასაქმებულთა კონტროლის მიზნით ვიდეოჩანაწერების გამოყენება ცალსახად სცდება კანონით დადგენილ მონაცემთა დამუშავების მიზნებს.

2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მოქალაქეთა თუ სხვადასხვა პროფესიული კავშირების მომართვის, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, შეისწავლა 11 ორგანიზაციის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების კანონიერება, რომელთაგან 6 ორგანიზაციაში დამატებით ხორციელდებოდა აუდიოჩაწერაც. მიუხედავად იმისა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი ნათლად და მკაფიოდ ადგენს ქუჩაში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ასევე საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ გარე პერიმეტრზე, შენობის შესასვლელში და სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესს და კანონიერ მიზნებს, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაციების უმრავლესობა ვიდეოთვალთვალის სისტემის შედეგად მოპოვებულ ჩანაწერებს იყენებს სხვა, კანონთან შეუთავსებელი მიზნებითაც.

საცალო სავაჭრო ქსელები

საანგარიშო პერიოდში პროფესიული კავშირების მომართვის საფუძველზე, ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა ორი მსხვილი პროდუქციის რეალიზატორი კომპანიის მიერ საკუთარ ქსელში შემავალ ობიექტებში ვიდეოთვალთვალის სისტემების მეშვეობით დასაქმებულთა და კომპანიის მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიების სავაჭრო ობიექტებში ვიდეოთვალთვალის სისტემა განთავსებულია საკუთრების დაცვისა და პირის უსაფრთხოების მიზნებისთვის, თუმცა, ვიდეოთვალთვალის სისტემა ასევე გამოიყენებოდა დასაქმებულ პირთა მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით.

ერთ-ერთი კომპანიის კუთვნილ სავაჭრო ობიექტებში შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით, მომსახურების ხარისხის მონიტორინგის, კონსულტანტების ქცევისა და ვიზუალური მხარის კონტროლის მიზნით მუდმივ რეჟიმში ხორციელდებოდა ვიდეომონიტორინგი. მომსახურების სტანდარტების ზედმიწევნით შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაქმებულ პირს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. ზოგიერთ შემთხვევაში ვიდეოჩანაწერების მეშვეობით კონტროლდება დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე შესვლისა და სამუშაო ადგილიდან გასვლის დრო.

მეორე კომპანიის კუთვნილ სავაჭრო ობიექტებში ვიდეოთვალთვალის თავდაპირველ მიზანს არ წარმოადგენდა დასაქმებულთა მიერ მომსახურების გაწევის კონტროლი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ვიდეოთვალთვალის დროს უსაფრთხოების ოფიცრები დააფიქსირებდნენ სავაჭრო ობიექტში დასაქმებულის მიერ შრომის შინაგანაწესის ან ქცევის კოდექსის დარღვევას (მაგალითად, კონსულტანტი მოუწესრიგებელია, მომსახურების დროს სარგებლობს მობილური ტელეფონით და ა.შ.), აღნიშნულის თაობაზე აცნობებდნენ სავაჭრო ობიექტის მენეჯერს შესაბამისი რეაგირების მოხდენის მიზნით.

ინსპექტორის მიერ, კომპანიების მხრიდან ვიდეომონიტორინგის განხორციელების არსებული პრაქტიკა არ იქნა მიჩნეული კანონის შესაბამისად, რადგან კანონით ცალსახად დადგენილია, რომ სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების მიზნებს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, ასევე, საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, რომელთა სხვა საშუალებით

მიღწევა უნდა იყოს შეუძლებელი. კომპანიის დასაქმებულთა მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი, სამსახურში დროულად გამოცხადება და მოქმედი წესების დაცვა არ წარმოადგენს ვიდეომონიტორინგის განხორციელების კანონით დაშვებულ მიზანს.

შემოწმებების შედეგად ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესების დარღვევისათვის ორგანიზაციებს დაეკისრათ ჯარიმა 500-500 ლარის ოდენობით, ამასთან, დაევალათ დასაქმებულთა კონტროლის მიზნით ვიდეოჩანაწერების გამოყენების შეწყვეტა.

საჯაროთიაქო ქსელები

გასულ წელს ინსპექტორის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ სამი ფარმაცევტული კომპანია მათი ქსელის აფთიაქებში აწარმოებდა როგორც ვიდეოკონტროლს, ასევე მომხმარებელსა და ფარმაცევტს შორის კომუნიკაციის აუდიოჩაწერას. თემის მასშტაბურობიდან და სენსიტიურობიდან გამომდინარე, ინსპექტორის ინიციატივით შესწავლილ იქნა სამივე ფარმაცევტული კომპანიის მიერ ვიდეო-აუდიო მონიტორინგის შედეგად მონაცემების დამუშავების კანონიერება. ინსპექტირებების შედეგად დადგინდა, რომ საჯაროთიაქო ქსელის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეომონიტორინგის მიზანი იყო საკუთრების დაცვა და უსაფრთხოება. ამავდროულად, ჯამურად 365 აფთიაქში, დახლზე განთავსებული მიკროფონის საშუალებით, 24 საათიან რეჟიმში ხორციელდებოდა მოქალაქეებსა და ფარმაცევტებს შორის კომუნიკაციის აუდიოჩაწერა მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით.

მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ საჯაროთიაქო ქსელის მომხმარებლის მიერ მედიკამენტების შეძენისას აფთიაქებს ეძლეოდათ შესაძლებლობა, გარკვეულ შემთხვევებში, მოეხდინათ პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რაც იწვევდა მომხმარებელთა პირად ცხოვრებაში უფრო მეტი მოცულობით ჩარევას.

მიუხედავად იმისა, რომ საჯაროთიაქო ქსელებს ჰქონდათ კანონიერი მიზანი - გაეკონტროლებინათ საჯაროთიაქო ქსელში მომსახურების ხარისხი, ამ ფორმითა და მასშტაბით მონაცემთა დამუშავება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტო-

რის მიერ არ იქნა მიჩნეული კანონიერი მიზნის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებად. აუდიომონიტორინგის განხორციელება წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას მომხმარებელთა პირად ცხოვრებაში და ეწინააღმდეგებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილ პროპორციულობის პრინციპს.

ინსპექტორის გადაწყვეტილებით სამივე კომპანიას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შეეფარდა ჯარიმა თითოეულს 500 ლარის ოდენობით, დაევალათ აუდიომონიტორინგის განხორციელების შეწყვეტა და მოპოვებული მასალის სრულად განადგურება. ინსპექტორის გადაწყვეტილებები სამივე კომპანიის მიერ სასამართლოში გასაჩივრდა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა და ინსპექტორის გადაწყვეტილებები უცვლილი დატოვა.

საბანკო დაწესებულება

მოქალაქის განცხადების საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შეისწავლა ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ ვიდეო-აუდიო მონიტორინგის განხორციელების კანონიერება. საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომერციულ ბანკში ვიდეოთვალთვალი ხორციელდებოდა უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მიზნით, რადგან ბანკის სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მაღალია უსაფრთხოებისა და საკუთრების ხელყოფის რისკი. ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებული იყო კომპანიის სათავო ოფისსა და ფილიალებში, შესასვლელ კართან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ამასთან, კომერციული ბანკის მიერ აუდიოჩაწერა მიმდინარეობდა კლიენტის პრეტენზიის შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის ფინანსური ოპერაციის დეტალების დაზუსტების და საკითხში გარკვევის მიზნით, კლიენტის მიერ გაცემული ზეპირი დავალების და ბანკის თანამშრომლის მიერ კლიენტისთვის მიწოდებული ინფორმაციის დასაზუსტებლად და გადასამოწმებლად. აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკის მიერ აუდიოჩაწერა ხდებოდა კლიენტის მხრიდან თაღლითობის პრევენციისა და მოკვლევის მიზნით და ასევე, მონაცემთა სუბიექტების (დასაქმებულების და

კლიენტების) ინტერესების დასაცავად - იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება დასაქმებულის შეცდომა, კლიენტს უნაზღაურდება მიყენებული ზიანი, ხოლო კლიენტის მიერ არასწორი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში დგინდება დასაქმებულის კეთილსინდისიერება.

ინსპექტორის აპარატმა სხვადასხვა ქვეყნის საზედამხედველო ორგანოებისგან გამოითხოვა ინფორმაცია და გაიარა კონსულტაცია საფინანსო ინსტიტუტების მიერ კლიენტთან კომუნიკაციის აუდიომონიტორინგთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკისა და საკანონმდებლო რეგულირების შესახებ. ევროპის ქვეყნების საზედამხედველო ორგანოებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო გამოცდილება არაერთგვაროვანია. აუდიომონიტორინგის კანონიერება დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევებში მონაცემთა დამუშავების მიზანზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან შესაბამისობის და მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებულობის საკითხებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების პროპორციულობის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მონაცემთა დამუშავების მიზანი და დამუშავებული მონაცემების მოცულობა. ინსპექტორმა მიიჩნია, რომ კომერციული ბანკის მიერ დასაქმებულებსა და კლიენტებს შორის კომუნიკაციის აუდიომონიტორინგი მონაცემთა დამუშავების მიზნის პროპორციული იყო რადგან: აუდიოჩანაწერის გამოყენება ხდებოდა მხოლოდ საჩივრის/პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში და არა ნებისმიერი სხვა მიზნით; აუდიოჩამწერი მოწყობილობები განთავსებული იყო კლიენტთა მომსახურების მხოლოდ იმ წერტილებში, სადაც კლიენტის ზეპირი დავალებით ხდება ფინანსური ოპერაციები, მათ შორის, ნაღდი ფულის მონაწილეობით შესრულებული ოპერაციები; ბანკის კლიენტებს და დასაქმებულებს უფლება ჰქონდათ უარი განეცხადებინათ მათი საუბრის აუდიოჩაწერაზე; კლიენტის საჩივრის/პრეტენზიის შემთხვევაში, თუ კლიენტის ნება ამა თუ იმ მომსახურების შესრულების დავალების შესახებ გამოხატული იყო ზეპირი ფორმით, გარდა აუდიოჩანაწერისა, სხვა ალტერნატიული საშუალება/მტკიცებულება არ არსებობდა იმის გასარკვევად, თუ რა ინფორმაციის მიმოცვლა მოხდა კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის. მიუხედავად აღნიშნულისა, ბანკს დაევალა მონაცემთა სუბიექტების სათანადოდ ინფორმირება აუდიომონიტორინგის განხორციელების მიზნის და საუბრის აუდიოჩაწერაზე უარის თქმის უფლების შესახებ.

მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და ჩატარებული ინსპექტირებების შედეგები, ასევე საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ აუდიოჩაწერა ცალსახად სამართალდარღვევას არ წარმოადგენს და გარკვეულ შემთხვევებში ასეთი სისტემების გამოყენება დასაშვებია. აუდიოჩაწერის კანონიერება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღება დამმუშავებელი ორგანიზაციის საქმიანობა, დამუშავებული მონაცემების და მონაცემთა სუბიექტის კატეგორია, პირად ცხოვრებაში ჩარევის მასშტაბი და ა.შ.

ვიდეომინიტორინგის არეალის შეფასება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს წერილობით მომართა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომელიც მიუთითებდა, რომ მათი პოლიტიკური პარტიის შენობის ცენტრალური ფასადის მოპირდაპირე მხარეს არსებულ გარეგანათების ბოძზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამონტაჟა მაღალი გარჩევადობის მქონე ვიდეოსათვალთვალო კამერა, რომელსაც გააჩნია მანევრირების ფუნქცია, დაკვირვებისა და დასაკვირვებელი ობიექტის გადიდების ფუნქცია. წერილის თანახმად, ვიდეოსათვალთვალო კამერა მიმართული იყო პარტიის ცენტრალური ოფისის შიდა ეზოში განთავსებული შემოსასვლელი საგუშაგოსკენ და ვიდეოსათვალთვალო კამერის მოძრაობის შესაძლებლობიდან გამომდინარე, ის დაკვირვებას ახორციელებდა პარტიის შენობის სამუშაო სივრცეზე.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მისი უფლებამოსილი პირის - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინსპექტირება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გზებსა და შენობის გარე პერიმეტრზე ფოტო და ვიდეო ტექნიკის განთავსება ემსახურება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებს, კერძოდ, დანაშაულის პრევენციას, პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, საზოგადოებრივი წესრიგის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვას, ასევე, საგზაო მოძრაობის წესების დაცვის უზრუნველყოფას და სხვა კანონით დადგენილ მიზნებს.

ვიდეოტექნიკის განთავსების ტერიტორიის შერჩევა ხდება ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკის, საგზაო მოძრაობის ინტენსივობისა და საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა საფრთხეების გათვალისწინებით. შემოწმების პე-

რიოდისთვის, სამინისტროში არ მოიპოვებოდა ამ კონკრეტულ მისამართზე შესაბამისი გაყვანილობების დამონტაჟების შესახებ გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება.

ინსპექტორმა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნულ მისამართზე განთავსებული ვიდეოკამერის ტექნიკური მახასიათებლებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილი გზისა, ვიდეოკონტროლირებად არეალში შესაძლოა მოხვედრილიყო სხვადასხვა შენობები და დაწესებულებები, მათ შორის, პოლიტიკური გაერთიანების სათავო ოფისი. აღნიშნული შენობის და მიმდებარე ტერიტორიის ვიდეოკონტროლის შედეგად კი, შესაძლოა მომხდარიყო პარტიის წევრების, მხარდამჭერების, ოფისში დასაქმებულთა და ვიზიტორი პირების პირდაპირ ან/და ირიბად იდენტიფიცირება. ამდენად, იქმნებოდა პირდაპირ ან/და ირიბად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, კერძოდ, პირ(ებ)ის პოლიტიკურ შეხედულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავების შესაძლებლობა, რაც წინააღმდეგობაში შეიძლება მოსულიყო ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნებთან.

იმისათვის, რომ არ მომხდარიყო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების არაპროპორციულად და არამიზნობრივად დამუშავება და მეორეს მხრივ, უზრუნველყოფილი ყოფილიყო მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნები - უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის პრევენცია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა აღნიშნული ვიდეოსათვალთვალო კამერის დახრის კუთხის, ფოკუსისა და მოძრაობის ტრაქტორიის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომ მონიტორინგის და დაკვირვების ქვეშ არ მოექცეულიყო პოლიტიკური გაერთიანების ცენტრალური ოფისი და მისი შესასვლელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სსიპ - „112-ში“ დაფიქსირდებოდა ინფორმაცია ინციდენტის შესახებ. ასევე, სამინისტროს დაევალა აღნიშნული, სატესტო რეჟიმში მომუშავე ვიდეოკამერის მეშვეობით ვიდეომონიტორინგის განხორციელების საჭიროების შეფასება და ინსპექტორისათვის ამგვარი საჭიროებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გარანტირებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. მოქალაქეს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელ საჯარო და კერძო ორგანიზაციას მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე, ხოლო მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება, მონაცემთა დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. მოქალაქეს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას, მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას ან სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

საჯარო დაწესებულებაში პირის შესახებ დაცულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კი კანონი ადგენს პირის უფლებას, გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასლის გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი განცხადებების და მოთხოვნილი კონსულტაციების რაოდენობიდან გამომდინარე, 2015 წელს განსაკუთრებით გაიზარდა მოქალაქეთა ინტერესი მათ შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციებში დაცულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა განიხილა 11 განცხადება, რომლითაც მოქალაქეები ითხოვდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებისგან მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვების გზების შესახებ ინფორმაციას ან მათ შესახებ ჩანაწერების გადაცემას. მოქალაქეთა მითითებით, მონაცემთა დამმუშავებელმა

ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს კანონით დადგენილ ვადაში და მოთხოვნილი ფორმით ინფორმაციის მიწოდება. 2015 წლის განმავლობაში გამოვლინდა მოქალაქეთა ინფორმირების წესის დარღვევის 6 ფაქტი. ერთ-ერთი განცხადების განხილვის ფარგლებში ინსპექტორმა სამართალდამრღვევად სცნო სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო. ასევე, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების წესების დარღვევასთან დაკავშირებული განცხადების განხილვისას ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მოქალაქე მიუთითებდა, რომ მის სარგებლობაში არსებულ სატელეფონო ნომერზე რამდენჯერმე დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი. განმცხადებლის განმარტებით, როდესაც იგი დაინტერესდა, თუ რა გზით გახდა კომპანიისათვის ცნობილი მისი სატელეფონო ნომერი და სხვა მონაცემები, კომპანიის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქვთ წვდომა ერთ-ერთი მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის ბაზებთან. ამის შემდგომ, განმცხადებელმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა კომპანიის წარმომადგენელს და მოითხოვა მისი პერსონალური მონაცემების მოპოვების გზების შესახებ ინფორმაცია, რაზეც პასუხად მიიღო, რომ კომპანია სხვადასხვა წყაროებიდან იღებს ინფორმაციას, მათ შორის, ინტერნეტსაიტებიდან და პარტნიორი კომპანიის ძველი ბაზებიდან.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ პერსონალური მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ სადაზღვევო კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს - კომპანიას განმცხადებლის პერსონალური მონაცემები მოპოვებული ჰქონდა განმცხადებლის მიერვე წარსულში განხორციელებული სატელეფონო ზარის მეშვეობით. მიუხედავად მოქალაქის მოთხოვნისა, მისთვის წერილობითი ფორმით მიეწოდებინათ დაზუსტებული ინფორმაცია, სადაზღვევო კომპანიამ ვერ უზრუნველყო კანონით დადგენილ ვადაში ინფორმაციის მიწოდება.

2015 წელს გაიცა

1215

კონსულტაცია



კონსულტაციის თემები



საჯარო დაწესებულებაში დაცული მონაცემების გაცნობისა და ასლების მიღების უფლება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ და მოითხოვა მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების წესების დარღვევის ფაქტის შესწავლა. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტში მის მიმართ მიმდინარეობდა დისციპლინური საქმის წარმოება, რის შედეგადაც შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. განმცხადებლის განმარტებით, მან წერილობით მიმართა უნივერსიტეტს და მოითხოვა დისციპლინური საქმის მასალების ასლების გადაცემა, რაც ვერ მიიღო უნივერსიტეტისგან. განცხადების განხილვის მიმდინარეობის პერიოდში, მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნიდან 26 დღის შემდგომ, განმცხადებელმა მიიღო მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

უნივერსიტეტს არ ჰქონდა დადგენილი რეგულაცია, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის და უნივერსიტეტის მიერ ასეთ მოთხოვნაზე რეაგირების წესები და ვადები.

ინსპექტორმა დაადგინა, რომ მონაცემთა სუბიექტისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამმუშავებელმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ იმგვარი სამართლებრივი, ტექნიკური თუ ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, რომ პირის უფლება - მიიღოს მის შესახებ ინფორმაცია, გახდეს გონივრულ ვადებში ეფექტურად რეალიზებული. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მონაცემთა დამმუშავებელმა მკაფიოდ და მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომად უნდა განსაზღვროს ინფორმაციის გამოთხოვისა და გაცემის პროცედურები. ამასთან, ინფორმაციის მიღების ვადა უნდა იყოს გონივრული და უზრუნველყოფდეს ბალანსის დაცვას ერთი მხრივ, ინფორმაციის მომთხოვნი პირის ინფორმაციის მიღებისთვის არსებულ კანონიერ ინტერესსა და მეორე მხრივ, საჯარო დაწესებულების შესაძლებლობებს შორის - მოახდინოს მოთხოვნილი ინფორმაციის სათანადოდ დამუშავება და მიწოდება.

პირდაპირი მარკეტინგი

პირდაპირი მარკეტინგი

2015 წელსაც მოქალაქეთა განცხადებების, აპარატის მიერ გაცემული კონსულტაციების დიდი ნაწილი პირდაპირი მარკეტინგის საკითხს უკავშირდებოდა. განსაკუთრებით აქტუალური იყო სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით განხორციელებული პირდაპირი მარკეტინგის საკითხები. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა. 2015 წელს კონკრეტული ორგანიზაციების მიერ პირდაპირი მარკეტინგის წესის დარღვევის ფაქტის შესწავლის თხოვნით ინსპექტორს 41-მა მოქალაქემ მომართა, გამოვლინდა პირდაპირი მარკეტინგის კანონით განსაზღვრული წესების დარღვევით განხორციელების 21 შემთხვევა და აქედან 19 ორგანიზაციას 2015 წელს დაეკისრა ფინანსური ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

2015 წელს პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების უმრავლესობამ უზრუნველყო შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმის დანერგვა, რომელიც შეტყობინების ადრესატს აძლევს შესაძლებლობას, მითითებული ტექსტი გაგზავნოს კონკრეტულ ნომერზე და ამგვარად განაცხადოს უარი მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენებაზე. აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენებისა და ეფექტურობის მაგალითად შეიძლება ერთ-ერთი სარეკლამო მომსახურების გამწევი კომპანიის მონაცემების მოყვანა, რომლის თანახმადაც შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის მექანიზმით ისარგებლა 311 962 აბონენტმა.

2015 წელს გამოვლენილი დარღვევები ძირითადად შეეხებოდა სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის მექანიზმის არარსებობას ან მისი ხარვეზებით ფუნქციონირებას. ცალკეულ შემთხვევებში კი, კომპანიებმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის შემდგომ მაინც გააგზავნეს სარეკლამო შეტყობინებები. მონაცემთა დამმუშავებლები, რომლებიც სხვადასხვა უფლებამოსილი პირების მეშვეობით ახორციელებდნენ სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნას, არ ითვალისწინებდნენ სატელეფონო ნომრების გამეორების შესაძლებლობას და უფლებამოსილი პირებისგან არ ითხოვდნენ ინფორმაციას იმ სატელეფონო ნომრების შესახებ, რომელთა მფლობელებმაც უკვე განაცხადეს უარი სარეკლამო შეტყობინებების მიღებაზე.

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, პირდაპირი მარკეტინგის კანონის დაცვით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ორგანიზაციამ, რომელიც ახორციელებს პირდაპირ მარკეტინგს, დანერგოს შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის ეფექტური და ხელმისაწვდომი მექანიზმი. ასევე, მნიშვნელოვანია, პირდაპირი მარკეტინგის განმა-

ხორციელებელმა ორგანიზაციამ გაუწიოს მონიტორინგი უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას და ჰქონდეს ინფორმაცია იმ მონაცემთა სუბიექტების შესახებ, რომელთაც უარი განაცხადეს მათი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე.

მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენებამდე, არასასურველი შეტყობინებების გაგზავნის თავიდან არიდების მიზნით, უნდა მოხდეს წინასწარი ინფორმირება მათი მონაცემების ამგვარი მიზნით გამოყენების შესახებ. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება უარი განაცხადონ არასასურველ სარეკლამო შეტყობინებებზე ისე, რომ უარი არ ეთქვათ მომსახურების მიღებაზე.

2015 წლის ივნისში ინსპექტორისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „მაგთიკომმა“ საკუთარ აბონენტებთან გააგზავნა შეტყობინება, რომლის თანახმადაც სტანდარტულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომ „აბონენტი თანახმა იყო მიეღო შპს „მაგთიკომის“ და მისი პარტნიორი/კონტრაქტორი ორგანიზაციებისგან სარეკლამო და საინფორმაციო შეტყობინება“. კომპანიის შეტყობინებიდან ასევე ირკვეოდა, რომ აბონენტს ნებისმიერ დროს შეეძლო უარი თქვა სარეკლამო შეტყობინების მიღებაზე, რისთვისაც მას კონკრეტული შეტყობინების გამგზავნის დასახელება მოკლე ტექსტური შეტყობინებით უნდა გაეგზავნა შესაბამის ნომერზე. ინსპექტორის აპარატმა დაუყოვნებლივ დაიწყო საკითხის შესწავლა. მნიშვნელოვანი იყო იმის გამორკვევა, თუ რამდენად ჰქონდათ აბონენტებს შესაძლებლობა უარი ეთქვათ ხელშეკრულების აღნიშნულ პირობაზე, ხოლო თუ აბონენტი თანხმობას განაცხადებდა, შეეძლო თუ არა მოგვიანებით ეთქვა უარი არა კონკრეტულ შეთავაზებაზე, არამედ „მაგთიკომის“ ყველა პარტნიორის სარეკლამო შეთავაზებაზე. შპს „მაგთიკომთან“ კომუნიკაციის შედეგად, კომპანიამ გაითვალისწინა ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციები და აბონენტებს მიეცათ შესაძლებლობა ნომერზე *182# ერთი შეტყობინების გაგზავნით ეთქვათ უარი შპს „მაგთიკომის“ ყველა სარეკლამო შეტყობინების მიღებაზე.

ინტერნეტბმულის გამოყენება სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტურ შეტყობინებებზე უარის თქმის მიზნით

მოქალაქეთა განცხადებების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ხშირ შემთხვევებში სარეკლამო შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმად მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში მითითებული იყო ინტერნეტბმული, რაც ინსპექტორის მიერ ვერ შეფასდა უარის თქმის ადეკვატურ და ხელმისაწვდომ საშუალებად.

ამ მხრივ საგულისხმოა ინსპექტორის გადაწყვეტილება ერთ-ერთი კომპანიის სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, კომპანიამ მოქალაქისათვის მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის დროს დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რადგან სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის მექანიზმად მითითებული იყო კომპანიის ვებგვერდის მისამართი. მხოლოდ ინტერნეტბმულის მითითება არ იქნა შეფასებული პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტისათვის ხელმისაწვდომ და ადეკვატურ საშუალებად იმ პირობებში, როდესაც სატელეფონო ნომრის მფლობელებს შესაძლოა არ ჰქონოდათ წვდომა ინტერნეტთან. სასამართლომ სრულიად გაიზიარა ინსპექტორის პოზიცია და მიუთითა, რომ კომპანიის მი ერ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში ვებგვერდის მითითება წარმოადგენს არასაკმარის გარემოებას მონაცემთა სუბიექტისათვის ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმით მინიჭებული უფლებამოსილების რეალიზებისათვის და ვებგვერდი არ იქნა შეფასებული ადვილად ხელმისაწვდომ მექანიზმად მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნისათვის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორებისგან (შპს „მაგთიკომი“, შპს „ჯეოსელი“, შპს „მობიტელი“) მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათ ქსელში რეგისტრირებული აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება იმ აბონენტების რაოდენობას, რომელთაც გააქტიურებული აქვთ მობილური ინტერნეტი. 2015 წელს აქტიური 4 949 535 აბონენტიდან მობილური ინტერნეტით მოსარგებლე იყო მხოლოდ 1 766 313. გამომდინარე აქედან, მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის მხოლოდ ისეთი მექანიზმი, რომელიც მოითხოვს ინტერნეტთან წვდომას, ვერ იქნება განხილული ადეკვატურ და ხელმისაწვდომ საშუალებად.

პირდაპირი მარკეტინგზე უარის თქმის მექანიზმის ხელმისაწვდომობის და ადეკვატურობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია მისი საფასურის ოდენობაც. იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმის ღირებულება აღემატება მოკლე ტექსტური შეტყობინებებისათვის მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორების მიერ დადგენილ სტანდარტულ საფასურს, იგი ვერ იქნება მიჩნეული უარის თქმის ხელმისაწვდომ და ადეკვატურ საშუალებად.

პირდაპირი მარკეტინგის განხორციელება ელექტრონული ფოსტით და სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებებით

გარდა მოკლე ტექსტური შეტყობინებისა, კომპანიები ხშირად ახდენენ მათი საქონლისა თუ მომსახურების შეთავაზებას ელექტრონული ფოსტისა და სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებებით. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას გაითვალისწინონ, რომ აღნიშნული გზებით სარეკლამო შინაარსის შეტყობინებების გაგზავნისას ისევე სავალდებულოა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების წესების დაცვა, როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის დროს.

2015 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი კომპანია კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამა „Viber“-ის მეშვეობით ახორციელებდა სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნას, თუმცა შეტყობინებები არ შეიცავდა მათ მიღებაზე უარის თქმის მექანიზმს. შემოწმების შედეგად კომპანიამ დაადასტურა კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამა „Viber“-ის მეშვეობით სარეკლამო შინაარსის შეტყობინებების გაგზავნის ფაქტი. ასევე დადგინდა, რომ პროგრამა „Viber“-ით სარეკლამო შინაარსის შეტყობინების გაგზავნის მომსახურება წარმოადგენდა ერთ-ერთი სარეკლამო კომპანიის ახალ პროდუქტს. გაგზავნილი სარეკლამო შეტყობინება შეიცავდა კომპანიის სარეკლამო ფოტოს, კომპანიის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და კომპანიის ვებგვერდის მისამართს, თუმცა მასში არ იყო მითითებული სარეკლამო შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმი.

გასათვალისწინებელია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციას (რომლის მიზანსაც წარმოადგენს სარეკლამო შეტყობინების გაგზავნა) ავალდებულებს პირდაპირი მარკეტინგისთვის დადგენილი წესების დაცვას. შესაბამისად, აღნიშნული წესების დარღვევისთვის პასუხისმგებლობაც სწორედ მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციას ეკისრება. ამდენად, ორგანიზაცია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების შესახებ, უნდა აფასებდეს ამა თუ იმ კომპანიის მიერ შეთავაზებული მომსახურების, მათ შორის შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმის კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მონაცემთა სხვა სახელმწიფოში
და
საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა

სამართალშემოქმედებით
პროცესში მონაწილეობა

მონაცემთა სხვა სახელმწიფოში და საერთაშორისო ორგანიზაციაში გადაცემა

პერსონალური მონაცემების გადაცემა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის 2015 წლის განამავლობაშიც აქტუალურ საკითხად რჩება. საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებები, ქართული კომპანიების აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოში კერძო კომპანიების ფილიალების დაფუძნება და საინვესტიციო პროექტები ქმნის პერსონალურ მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის ნაკადის ზრდის საფუძველს. საქართველოში მოქმედი არაერთი კერძო დაწესებულება ახორციელებს მონაცემთა სხვა სახელმწიფოში გადაცემას უცხოელი აქციონერებისა და პარტნიორების მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს მიერ სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების პროცესში მნიშვნელოვნად იყო გამახვილებული ყურადღება პერსონალური მონაცემების გადაცემის და გადაცემული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თემაზე. გასაფორმებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების საჭიროებასა და შინაარსთან დაკავშირებით ინსპექტორის აპარატთან რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ გაიარა კონსულტაცია. 2015 წლის განმავლობაში ინსპექტორმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა და რეკომენდაციები მოამზადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადმოგზავნილ 7 საერთაშორისო შეთანხმების პროექტზე.

2015 წლის განმავლობაში მოხდა პერსონალური მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის საკითხის შეფასება თურქეთსა და 3 საერთაშორისო ორგანიზაციაში (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ინტერპოლი და ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური აზიის ინფორმაციისა და კოორდინაციის ცენტრი).

2015 წლის განმავლობაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, კანონით დადგენილი წესით მონაცემების სხვა სახელმწიფოში და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის ნებართვის გაცემის მიზნით შემოვიდა 5 განცხადება, მათგან 3 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა

მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, ევროპის კავშირსა და ევროპის საბჭოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმა ხორციელდება. კერძოდ, ევროკავშირი მუშაობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასა და პოლიციისა და სისხლის სამართლის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დაცვის დირექტივის მიღებაზე. ევროპის საბჭოს ფარგლებში კი მიმდინარეობს პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის მოდერნიზება. აღნიშნული დოკუმენტებით განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ერთიანი სტანდარტი, მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვისა და კანონმდებლობის აღსრულების ეფექტური მექანიზმები.

როგორც პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მხარემ, საქართველომ იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა, ევროპული სტანდარტების შესაბამისად. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებათა პაკეტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირისა და ევროსაბჭოს განახლებულ რეგულაციებთან.

წინადადებები ითვალისწინებს კანონის მოქმედების სფეროს გავრცელებას როგორც დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავების შემთხვევებზე, ისე ნახევრადავტომატურ და არაავტომატურ დამუშავებაზეც. წინადადებებით განსაზღვრულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების ისეთი დამატებითი საფუძვლები, როგორიცაა, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება, თუ ეს აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მხარდაჭერის მიმღები პირის ან სოციალურად დაუცველი პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი საარქი-

ვო ფონდისა და არქივის მიერ და მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის.

ხაზგასასმელია ინიციატივა აუდიოკონტროლის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების შესახებ განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული ამ სახით მონაცემთა დამუშავება. ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება ეხება პირდაპირ მარკეტინგსაც. შემოთავაზებულია ერთიანი ვებპორტალის შექმნის იდეა, რომელიც მოქალაქეებს მისცემს დამატებით შესაძლებლობას, პორტალის მეშვეობით, ერთ სივრცეში, შერჩევითად განაცხადონ უარი მათთვის არასასურველ სარეკლამო შეტყობინებებზე.

პერსონალური მონაცემების კანონიერად დამუშავების სტიმულირებისა და შესაძლო დარღვევების პრევენციის მიზნებისთვის წინადადებები ითვალისწინებს მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებაყოფლობით შემოწმებასაც. საკანონმდებლო წინადადება ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის განცხადების განხილვისა და ინსპექტირების განხორციელების მარეგულირებელი ნორმების მნიშვნელოვან ცვლილებებს. მათ შორის, იხვეწება ინსპექტირების განხორციელების პროცედურები, საქმის წარმოების დაწყების, შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები, კონკრეტდება საქმის განხილვის პროცესში მონაწილე პირების უფლება-მოვალეობები და მტკიცებულებების მოპოვების ხერხები. საკანონმდებლო წინადადებები ასევე მიზნად ისახავს ინსპექტორის გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტური მექანიზმების დანერგვას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროს განვითარებისა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისათვის. ცვლილებები შემოთავაზებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ვინაიდან კოდექსით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი 2 თვიანი ხანდაზმულობის ვადა მნიშვნელოვნად აფერხებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების დარღვევებზე ინსპეტორის აპარატის შესაბამის რეაგირებას, რეკომენდებულია ხანდაზმულობის ვადის გაზრდა ერთ წლამდე. ამასთან, ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, წინადადებათა პაკეტი ითვალისწინებს შედარებით გამკაცრებულ პასუხისმგებლობას ისეთი დარღვევების მიმართ, რომელიც შეეხება დიდი ოდენობით (100 ან მეტი მონაცემთა სუბიექტის შესახებ) მონაცემთა დამუშავების წესის დარღვევას.

2015 წლის სექტემბერში ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადებათა პროექტი განხილულ იქნა საქართველოს პარლამენტის, სამინისტროების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, კერძო სექტორის, საერთაშო-

რისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მათი შენიშვნები მაქსიმალურად აისახა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტში, რომლის სამართლებრივ ექსპერტიზასაც ამჟამად ახორციელებენ ევროპის საბჭოს ექსპერტები.

2015 წელს ინსპექტორის აპარატი ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან, იურიდიულ საკითხთა და სხვა დარგობრივ კომიტეტებთან. კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით არაერთი რეკომენდაცია და დასკვნა მიეწოდა საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს. კონსულტაციებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის ფორმატში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით, შესწავლილ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილებები, საქართველოს სამინისტროებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტების პროექტები, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები თუ მემორანდუმები.

ინსპექტორის აპარატმა განიხილა „ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, ასევე „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ჭრილში. პროექტის თანახმად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს და მის ტერიტორიულ ორგანოებს ენიჭებოდათ უფლებამოსილება დაემუშავებინათ მსჯავრდებულის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის და ბიომეტრიული მონაცემები და ამ მიზნით პირდაპირი წვდომა ჰქონოდათ სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში ავტომატური და ნახევრადავტომატური საშუალებებით წარმოებულ მონაცემებზე. ინსპექტორის აპარატმა მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტში დაზუსტებულიყო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების მიზნები და დაკონკრეტებულიყო ის მონაცემთა ბაზები, რომლებზე პირდაპირი წვდომაც წარმოადგენდა აუცილებლობას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა განიხილა სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან წვდომის ნორმატიულად რეგულირების სხვადასხვა საკითხი. მაგალითად:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების წარმოდგენილი პროექტი, რომლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევ-

ნილთა საქმეების დეპარტამენტის დევნილთა განსახლებისა და სოციალური დაცვის განყოფილებას დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის მიზნით ეძლეოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პერსონალური მონაცემების გამოთხოვის უფლებამოსილება;

2. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების წარმოდგენილი პროექტი;

3. მთავრობის დადგენილების პროექტი „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“.

საანგარიშო პერიოდში ასევე ხაზგასასმელია ინსპექტორის აპარატის ინსტიტუციური განვითარებისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით განხორციელებული სტრუქტურული და პროცედურული ცვლილებები. შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის განახლებული დებულება, თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი, რომელითაც დადგინდა ქცევის ნორმები და სტანდარტები, დარეგულირდა აპარატის თანამშრომლების ინტერესთა შეუთავსებლობის, მესამე პირებთან ურთიერთობისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის საკითხები.

ნორმატიული აქტის სახით შემუშავდა და დამტკიცდა საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების წესი, რომელიც არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმების (ინსპექტირების) ჩატარების პრინციპებს და მიზნებს, შემოწმების განხორციელების ძირითად პროცედურებს.

ინტერნეტში განხორციელებული ყველა ქმედება ტოვებს კვალს!

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო საქმიანობა

საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობა

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და საგანმანათლებლო საქმიანობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ საქართველოს პარლამენტში 2014 წლის ანგარიშის წარდგენის შემდგომ, საქართველოს პარლამენტმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის ხარისხის, ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიიღო დადგენილება, სადაც მოცემული იყო რეკომენდაცია ინსპექტორის აპარატის ცნობადობის და მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი საქმიანობის შესახებ. პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ინსპექტორის აპარატის შექმნის დღიდან მისი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, პარლამენტის რეკომენდაციის შედეგად კი მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვანია ამ პროცესში თითოეული მოქალაქის ჩართულობა და ინტერესი. ამის უზრუნველყოფა კი მხოლოდ საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობის პირობებშია შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, 2015 წელს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მედიასთან თანამშრომლობას, ჟურნალისტების ინფორმირებას ინსპექტორის საქმიანობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ. ამ მიზნით, სპეციალურად მედიასაშუალებების წარმომადგენელთათვის ჩატარდა ტრენინგი, რამაც ხელი შეუწყო მედიის ინტერესის ზრდას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიმართ. თავის მხრივ, ინსპექტორი და მისი აპარატის წარმომადგენლები ყოველთვის იყენებდნენ დათმობილ საეთერო დროს საზოგადოებისათვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციის მისაწოდებლად.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზანს ემსახურებოდა წლის განმავლობაში მომზადებული სხვადასხვა სახის ბეჭდვითი მასალა, მათ შორის მოქალაქეთა უფლებების შესახებ ბროშურა, ორენოვანი პოსტერი საზღვრის კვეთის დროს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, რომელიც განთავსდა თბილისის, ბათუმის და ქუთაისის აეროპორტების სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

აპარატის მიერ მომზადდა სოციალური რეკლამა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გადიოდა 24 ცენტრალურ და რეგიონულ არხზე. სოციალური რგოლის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინსპექტორის აპარატის ცნობადობა, რაც აისახა მოქალაქეთა მომართვიანობის ზრდის მაჩვენებელზე.

განსაკუთრებული ყურადღება ცნობიერების ამაღლების კამპანიაში ეთმობოდა არასრულწლოვნებსა და სტუდენტებს. 2015 წელს თბილისსა და რეგიონებში ჩატარდა 9 საჯარო ლექცია სტუდენტებისთვის და 12 საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს დიდ ქალაქებში - გორში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში კერძო და საჯარო სექტორის, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის, განათლების, კულტურისა და სპორტის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, ასევე ქ. თბილისის, ქ. ბათუმისა და ქ. ქუთაისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან.

იუსტიციის სახლებთან და საზოგადოებრივ ცენტრებთან თანამშრომლობით მთელი ქვეყნის მასშტაბით აღინიშნა 2015 წლის 28 იანვარს პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო დღე, ინსპექტორის აპარატმა მონაწილეობა მიიღო 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში და ათასობით მოქალაქეს მიაწოდა ინფორმაცია მათი მონაცემების დაცვის მნიშვნელობისა და ინსპექტორისადმი მიმართვის შესაძლებლობის შესახებ.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ვებგვერდთან ერთად აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სიახლეების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ამასთან, ინსპექტორის აპარატის საქმიანობის საზოგადოებისათვის გასაცნობად, ფართოდ გამოიყენება აპარატის ვებგვერდი: www.personaldata.ge. 2015 წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდა ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა, ხოლო სოციალური გვერდის მომხმარებელთა რაოდენობა 3-ჯერ არის გაზრდილი. ოფიციალურმა გვერდმა შეიძინა საკონსულტაციო ფუნქციაც. მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს საშუალება აქვთ მათთვის საინტერესო საკითხებზე ონლაინ რეჟიმში მიიღონ პასუხი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა ვებგვერდის საშუალებით. 2015 წელს ასევე დაინერგა ფაილური სისტემის კატალოგების ელექტრონული რეესტრი, რომელიც ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს

ორგანიზაციებს ელექტრონულად განაახლონ კატალოგები, მეორე მხრივ კი საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს გაეცნონ რა სახის მონაცემებს ამუშავებენ საჯარო და კერძო ორგანიზაციები.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზანს ემსახურებოდა ინსპექტორის აპარატის მიერ გამოცხადებული ფოტო/ვიდეო/პოსტერების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა 60-ზე მეტმა კონკურსანტმა მიიღო.

ინსპექტორის აპარატი მონაწილეობდა სხვადასხვა სახის ფორუმებსა და კონფერენციებში, მათ შორის საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების VIII რეგიონული კონფერენციასა და ინტერნეტ თავისუფლების ფორუმში.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორმა რამდენიმე საჯარო განცხადება გააკეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებულ თემებზე, რომელიც 2015 წელს საზოგადოებრივი განხილვისა და გამოძიების საგანი გახდა. მათ შორის იყო: გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ჟურნალისტ ეკა მიშველაძის განცხადება, ასევე, უკრაინულ საიტზე გავრცელებული საუბრის ჩანაწერების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ამსახველი კადრების გავრცელება. ინსპექტორმა წამების მსხვერპლთა, მათი ოჯახის წევრთა უფლებებისა და ღირსების დაცვის, ასევე, არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, კონკრეტული რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლებს და მოუწოდა იმ უცხოურ ინტერნეტრესურსებზე საქართველოდან წვდომის შეზღუდვის შესაძლებლობის განხილვა, სადაც განთავსებული იყო აღნიშნული კადრები. ინსპექტორმა ასევე მიმართა მედიასაშუალებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, თავი შეეკავებინათ წამების ამსახველი ჩანაწერების შემდგომი გავრცელებისგან, განსაკუთრებით, საჯარო და ინტერნეტსივრცეში. ინსპექტორმა სამართლებრივი კონსულტაცია შესთავაზა ჟურნალისტ ეკა მიშველაძესა და თბილისის საკრებულოს დეპუტატ ალეკო ელისაშვილს მათ მიერ უკანონო თვალთვალთან დაკავშირებით გაკეთებულ საჯარო განცხადებებზე.

კანონმდებლობის პრაქტიკაში დანერგვისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია ინსპექტორის აპარატის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა, კერძოდ საჯარო და კერ-

ძო ორგანიზაციების თანამშრომელთა ტრენინგები. 2015 წლის განმავლობაში 49 ტრენინგი ჩატარდა და მოიცვა საქართველოს ფინანსთა, თავდაცვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროები, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სახლის და სხვა დაწესებულებების 1300-მდე თანამშრომელი და კერძო ორგანიზაციების 172 წარმომადგენელი. 2015 წელს მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ტრენინგების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის, არამხოლოდ დედაქალაქის, არამედ რეგიონების მასშტაბითაც. აპარატმა დანერგა ახალი ტრენინგ-მოდული და ონლაინრეგისტრაციის მეშვეობით მასში მონაწილეობის მიღება ყოველთვიურად შეუძლიათ მცირე და საშუალო ბიზნესის, ადგილობრივი თვითმმართველობების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლებს და დაინტერესებულ ფიზიკურ პირებს.

ტრენინგები და საჯარო ლექციები



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პარტნიორი საგანმანათლებლო ორგანიზაციების რიცხვს 2015 წელს დაემატა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკების მართვის სკოლა, NIMD დემოკრატიის სკოლა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი. მონაცემთა დაცვის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზების მიზნით ინტენსიური თანამშრომლობა დაიწყო საქართველოს პარლამენტთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და ა(ა)იპ ბაგა-მაღების მართვის სააგენტოსთან.

პერსონალური მონაცემების დაცვის სწორი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით გრძელდებოდა თემატურ რეკომენდაციებზე მუშაობაც, 2015 წელს გამოცემული რეკომენდაციები ეხება ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებას, ინტერნეტსივრცეში პერსონალური მონაცემების დაცვას.

საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმისა და საქართველო-ევროკავშირის ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში.

2015 წელს ევროკავშირის შემფასებელი მისია დეტალურად გაეცნო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მანდატს, მისი აპარატის საქმიანობას, მუშაობის სპეციფიკასა და აპარატის მიერ განხორციელებულ აქტივობებს. შედეგად, ევროკომისიამ ქვეყნის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით გატარებული რეფორმა დადებითად შეაფასა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით შესრულებულად მიიჩნია.

2015 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლობა საერთაშორისო დონეზე, აპარატი აკრედიტებული იქნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის სრულუფლებიან წევრად და გაერთიანდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გლობალური ქსელში (GPEN).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და აპარატის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრასა და კონფერენციაში, როგორიცაა ქ.სტოკჰოლმში გამართული რიგით მეოთხე ინტერნეტფორუმი, ქ.ტირანაში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების 27-ე სამუშაო შეხვედრა, ქ.მანჩესტერში ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების კონფერენცია, ქ.ბიშკეკში გამართული საერთაშორისო კონფერენცია „მოსახლეობის რეგისტრაცია, პერსონალური მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების უფლება“, ალბანეთის ქ.დურესში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების გაერთიანების (CEEDPA) რიგით მე-17 სხდომა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისა და ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (108-ე კონვენცია) საკონსულტა-

ციო კომიტეტის პლენარულ სხდომებში, სადაც განიხილებოდა 108-ე კონვენციის მოდერნიზაციის საკითხი, ე.წ. დიდი მონაცემთა ბაზების, საპოლიციო სექტორში პერსონალური მონაცემების დაცვის, მგზავრების მონაცემების დამუშავების, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისათვის მონაცემთა შეგროვების საკითხები და საგადასახადო მიზნებისათვის მონაცემთა ავტომატური გადაცემის მექანიზმები.

2015 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვადასხვა ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან ორმხრივი თანამშრომლობა, მათ შორის იყო რუმინეთის, მაკედონიის, ალბანეთისა და პოლონეთის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები. ქ. ვარშავაში პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის გენერალური ინსპექტორის ბიუროსთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს პოლონეთსა და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას.

2015 წლის განმავლობაში ინსპექტორის აპარატის მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციების მხრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. ევროპის საბჭოს ფინანსური მხადაჭერით მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების ექსპერტიზა ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) პროექტის „ENIGMA" მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა სასამართლო სისტემაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, ტრენინგი მედიასაშუალებების წარმომადგენელთათვის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის შესაძლებლობათა გაძლიერების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამა 2016 წლიდან ევროკავშირის დაფინანსებით იწყებს პროექტს, რომლის ფარგლებში იგეგმება ინსპექტორის აპარატის ინსტიტუციური გაძლიერება, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, შემუშავება, ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის კვლევა და სხვა.

2015 წელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის სხვადასხვა მიმართულებით აღიარების წელი იყო. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა მიიღო საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გაეროს განვითარების პროგრამის ჯილდო გენდერული

ბალანსისათვის აღმასრულებელ დონეზე, ასევე ინფორმაციის თავისუფლების და განვითარების ინსტიტუტის ჯილდო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ყველაზე კომუნიკაბელურ საჯარო ორგანიზაციად დაასახელა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი

თბილისი, ნ. ვაჩნაძის 7
(+995 32) 242 1000
office@pdp.ge
www.personaldata.ge
FB/DPAGeorgiaOfficial